გურთიად
GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

27 Ocak / იანვარი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	5023.2	10.5%	20.6 %	9.8 %

Başbakan Valiler İle Görüştü

პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო რწმუნებულებს შეხვდა

Gürcistan Başbakanı, Sn. Irakli Garibashvili valiler ile görüştü. Görüşmede cari yıl gerçekleştirilmesi gereken projeleri ele alındı. Valiler Hükümet Başkanına yeni inisiyatifleri tanıtıp Başbakanından somut bir görevleri aldılar. Başbakan Ocak ayında doğal afetten zarar gören nüfusa tazminat verme süreci ile ilgilendi.

Bilindiği üzere, Başbakan'ın kararına göre, belediyelerde doğal affetlerin sonuçlarını gidermek için gereken işlemlerin uygulanması adına 19 695 000 Lari tahsis edildi, bunun dışında Hükümet ihtiyat akçesinden 1 470 000 Lari tahsis etti.

Görüşmede ayrıca Başbakan'ın girişimi ile başlatılan bayındırlık işlerinde istihdamı teşvik etme programı ele alındı. 1 Mart 2022- 23 Ocak 2023 tarihleri arasında belirtilmiş program çerçevesinde 30 000'den fazla sosyal açıdan savunmasız kişi istihdam edildi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სახელმწიფო რწმუნებულებს შეხვდა.

შეხვედრაზე მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები განიხილეს.

მთავრობის მეთაურმა გუბერნატორებისგან ახალი ინიციატივები მოისმინა და კონკრეტული დავალებები გასცა.

პრემიერი დაინტერესდა იანვარში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის პროცესით.

როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 19 695 000 ლარი გამოიყო. გარდა ამისა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციის გაცემის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 470 000 ლარი გამოიყო.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ამოქმედდა. 2022 წლის პირველი მარტიდან 2023 წლის 23 იანვრის ჩათვლით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 30 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი პირი დასაქმდა.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Fransız Şirketi "ADP Group" TAV Airports'in Hisselerinin Sahibi Oldu

ფრაგული კომპანია „ADP ჯგუფი" TAV Airports-ის აქციების მფლობელი გახდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili ADP Group'un Başkan Yardımcısı, Sn. Edward Arkwright ile görüştü. Fransız şirketi ADP Group TAV Airports'in hisselerini alıp şirket sahibi oldu.

Taraflar gelecek işbirliğinin perspektifleri ve havalimanlarının geliştirilme stratejisini ele aldılar.

Tiflis ve Batum Uluslararası Havalimanlarında hizmetlerin daha da geliştirilmesinin önemine dikkat verildi.

ADP Group farklı kıtalarda 20'den daha fazla havalimanıyı işletmektedir. ADP Group tarafından yönetilen havalimanları, nitelikli hizmetleri ile sürdürülebilir gelişimi ile meşhurdur.

ADP Group (l'Aéroport de Paris) 1945 yılında kuruldu. Amacı yolculara yülsek kaliteli yolculuğu sunmaktır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ADP ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტს, ედვარდ ორქრაითს შეხვდა. ფრანგულმა კომპანია ADP ჯგუფმა TAV Airports-ის აქციები იყიდა და მისი მფლობელი გახდა.

მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და აეროპორტების სამომავლო განვითარების სტრატეგია მიმოიხილეს.

ყურადღება დაეთმო როგორც თბილისის, ისე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში სერვისების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესების მნიშვნელობას.

ADP ჯგუფი მართავს და ოპერირებას უწევს სხვადასხვა კონტინენტზე 20-ზე მეტ აეროპორტს. ADP ჯგუფის მართვაში არსებული აეროპორტები ცნობილია კვალიფიციური სერვისებით და მდგრადი განვითარებით.

ADP ჯგუფი (l'Aéroport de Paris) დაფუძნდა 1945 წელს. მისი მიზანია მგზავრებს მაღალი ხარისხის მასპინძლობის სტანდარტები და ხარისხიანი მოგზაურობა შესთავაზოს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Finlandiya'da Turizm Fuarına 5 Gürcü Turizm Şirketi Katıldı

ფინეთში ტურისტულ გამოფენაში 5 ქართული ტურისტული კომპანია მონაწილეობდა

Ulusal Turizm İdaresi İskandinav ülkelerinde yer alan en büyük turizm fuarına katıldı.

Helsinki'de yerini almış fuar- MATKA 2023'te Ulusal Turizm İdaresi ile birlikte Acara Turizm ve Tatil Yeri Dairesi; İmereti varış yeri yönetim kuruluşu; Samtskhe-Javakheti varış yeri yönetim kuruluşu ve 5 Gürcü turizm şirketi sergilenmekteydi. Helsinki Uluslararası Turizm Fuarında toplam 70 ülkeden 850 şirket katılmaktaydı.

Fuar kapsamında, Gürcistan standında ziyaretçilere ülkenin turistik potansiyeli tanıtılmıştı. Ziyaretçiler ve turizm şirketlerinin temsilcileri Gürcistan'ın dağ tatil evleri; mutfağı ve diğer turistik ürünleri ile ilgilenmiş oldular.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სკანდინავიის ქვეყნებში ყველაზე დიდ ტურისტულ გამოფენა ბაზრობაში მიიღო მონაწილეობა.

ჰელსინკიში გამართულ გამოფენაზე MATKA 2023 ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, სამცხე-ჯავახეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და 5 ქართული ტურისტული კომპანია იყო წარდგენილი. ჯამში კი ჰელსინკის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე 70 ქვეყნის 850 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში, საქართველოს სტენდთან, დამთვალიერებლები საქართველოს ტურისტულ პოტენციალს გაეცნენ. სტუმრები და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები საქართველოს სამთო კურორტებით, კულინარიით და სხვა ტურისტული პროდუქტებით დაინტერესდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Giyim İhracatı Arttı- Gürcistan'da Üretilmiş Giyim Nerede Satılıyor

ტანსაცმლის ექსპორტი გაიზარდა - სად იყიდება საქართველოში შეკერილი სამოსი

Gürcistan'da giyim ihracatı önemli ölçüde arttı. 2022 yılında ülkeden 139.688 milyon Dolarlık giyim ihracatı yapıldı. Yıllık büyüme-%28'dir.

Esas ihracat pazarı Türkiye, bu ülke toplam ihracatın %90'ı gerçekleştirmektedir. Türkiye'ye 126.2 milyon Dolarlık ürün teslim edildi. Tekstil sektöründe Türk yatırımlarının ağırlıklı olduğunu belirtmek lazım. Büyük siparişler Türk ortaklar aracılığıyla alınır. Ürünler de Türkiye üzerinden farklı farklı pazarlara ulaşmaktadır.

საქართველოდან ტანსაცმლის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა. 2022 წელს ქვეყნიდან 139.688 მლნ დოლარის ტანსაცმლის ექსპორტი განხორციელდა. ზრდა წლიურ ჭრილში 28%-ია.

მთავარი საექსპორტო ბაზარი თურქეთია, ამ ქვეყანაზე ჯამური ექსპორტის 90% მოდის. თურქეთისთვის 126.2 მლნ დოლარის პროდუქციის მიწოდება მოხდა. აღსანიშნავია, რომ სამკერვალო ინდუსტრიაში სწორედ თურქული ინვესტიციები ჭარბობს. თურქი პარტნიორების გავლით ხდება მსხვილი შეკვეთების მიღება. ნაწარმიც ისევ თურქეთის გავლით ხვდება სხვადასხვა ბაზარზე.

2022 yılında giyim ihracatı
ტანსაცმლის ექსპორტი 2022 წელს

- Tişört ve triko ürünler- 75.2 Mln $/მაისურები და თბილი ტრიკოტაჟის ნაწარმი - 75.2 მლნ დოლარი;
- Takım elbiseler, triko takımlar- 44.10 Mln $/კოსტიუმები, ტრიკოტაჟის კომპლექტები - 44.10 მლნ დოლარი;
- Süveterler, kazaklar-5.6 Mln $/სვიტერები, პულოვერები - 5.6 მლნ დოლარი;
- Çocuk giyim-4.78 Mln $/სვიტერები/ საბავშვო ტანსაცმელი - 4.78 მლნ დოლარი;
- Kadın takım elbiseler- 3.62 Mln $ / ქალის კოსტიუმები, კომპლექტები - 3.62 მლნ დოლარი;
- Taytlar, çoraplar- 2.06 Mln $ / კოლგოტები, წინდები - 2.06 მლნ დოლარი;
- Kabanlar, trençkotlar- 1.6 Milyon Dolar / პალტოები, ლაბადები - 1.6 მლნ დოლარი;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Yıllara göre giyim ihracatı
ექსპორტი წლების მიხედვით:

- 2022 Yıl- 139.68 Milyon Dolar / 2022 წელი - 139.68 მლნ დოლარი
- 2021 Yıl- 109.06 Milyon Dolar / 2021 წელი - 109.06 მლნ დოლარი
- 2020 Yıl- 66.58 Milyon Dolar / 2019 წელი - 65.31 მლნ დოლარი
- 2018 Yıl- 58.8 Milyon Dolar / 2018 წელი - 58.8 მლნ დოლარი

Rustavi'de Yeni Petrol Ürünleri İşletme Tesisi Açıldı

რუსთავში, ახალი ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı, Sn. Levan Davitashvili Rustavi'de yeni petrol ürünleri işletme tesisi-"SERPENS"ın açılışına katıldı.

30 milyon GEL'den fazla yatırımı ile inşa edilmiş işletme tesisi, hükümet programı desteği ile yapıldı.

İşletme tesisi ülkede yüksek kaliteli yol inşaatı sağlamak ve yol altyapısı oluşturmak için vazgeçilmez olan yüksek nitelikli, Avrupa standartlarına uygun bitümü üretmektedir.

Şimdilik işletmede 70 kişi istihdam edilmektedir.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა რუსთავში, ახალი, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს - "სერპენსის" გახსნაში მიიღო მონაწილეობა.

საწარმო, სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით აშენდა, სადაც განხორციელდა 30 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია.

ქარხანა აწარმოებს მაღალი ხარისხის, ევროსტანდარტის შესაბამის ბიტუმს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ხარისხიანი გზების მოწყობისა და საგზაო ინფრასტრუქტურის შენების პროცესში.

დღესდღეობით საწარმოში 70 ადამიანია დასაქმებული.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan Uluslararası Seyahatlerden 3.5 Milyar Dolarlık Geliri Elde Etti

საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 3.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო

Gürcistan 2022 yılında uluslararası seyahatlerden (Turizmden) 3.5 milyar Dolarlık geliri elde etti.

2022 yılın turizm geliri 2019 yılınkini aştı ve rekor rakama (3,516,634,479 ABD Doları) ulaşıp 2019 yılın aynı dönem göstergelerine göre %107.6'lık bir yenilenme olarak gerçekleşti. Turizm geliri 2021 yılına kıyasla +2,271,692,761 (+182.5%) ABD Doları olarak arttı.

2022 yılın Aralık ayında turizmden elde edilen geliri 2019 yılınkini (363,306,614 ABD Doları) aşıp 2019 yılın aynı dönem göstergelerine göre %167.2'lik bir yenilenme olarak gerçekleşti. Turizm geliri 2021 yılın Aralık ayına göre +237,255,596 (+188.2%) ABD Doları olarak arttı.

Turizm yenilenme dinamiğine gelince, 2022 yılında Gürcistan'ı 5.4 milyon turist ziyaret etti.

Geçen sene, 2019 yılına göre uluslararası turist ziyaretlerinin %71.9'u, uluslararası ziyaretçi ziyaretlerinin ise %58'i yenilendi. Gürcistan'ı 2022 yılında 2021 yılına göre 188.5% daha fazla olan toplam 5.426.903 turist ziyaret etmişti.

2022 წელს, საერთაშორისო მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) საქართველომ 3.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

2022 წელს, მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს და რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - 3,516,634,479 აშშ. დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 107.6% აღდგენაა (+247,980,410 აშშ დოლარი). 2021 წელთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია +2,271,692,761 (+182.5%) აშშ დოლარით.

2022 წლის დეკემბრის თვეში, მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს და 363,306,614 აშშ. დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 167.2% აღდგენაა, 2021 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით კი მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია +237,255,596 (+188.2%) აშშ დოლარით.

რაც შეეხება ტურიზმის აღდგენის დინამიკას - საქართველოში 2022 წელს, 5.4 მილიონი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

გასულ წელს, 2019 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების 71.9%, ხოლო საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების 58 % აღდგა. 2022 წელს, ჯამში საქართველოში 5,426,903 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც 2021 წელთან შედარებით +188.5%-ით მეტია.

Yerel İhracat (Yeniden İhracat Hariç) 2022
ადგილობრივი ექსპორტი (რეექსპორტის გარეშე) 2022 წელი

2022'de Gürcistan'dan yapılan mal ihracatı, geçen yılın aynı dönemine göre %31.8 oranında daha düşük olan 5 592.8 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

Yeniden ihracat hariç ihracat, toplam ihracatın %66,2'sini oluşturmaktadır. Bu rakam bir önceki yıla göre %28,4 oranında artarak 3 704.2 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

2022 yılında Gürcistan'ın toplam yurt içi ihracatında en büyük on ülkenin payı %80,1'i olarak gerçekleşti. En büyük ihracat ortakları Çin (694.8 milyon ABD Doları), Rusya (536.1 milyon ABD Doları) ve Bulgaristan (419.9 milyon ABD Doları).

2022 წელს საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ 5 592.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 31.8%-ით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, მთლიანი ექსპორტის 66.2%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 28.4%-ით გაიზარდა და 3 704.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

2022 წელს ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 80.1% შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: ჩინეთი (694.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (536.1 მლნ. აშშ დოლარი) და ბულგარეთი (419.9 მლნ. აშშ დოლარი).



ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LCWAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Gürcistan'ın Esas Ticari Ortağı Türkiye

საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია

Geçen Sene Gürcistan Üzerinden Her Gün 1300'den Fazla Tır Geçerdi

გასულ წელს საქართველოს დერეფანში ყოველდღიურად 1300-ზე მეტი ტრაილერის გატარება მოხდა

Rus Vatandaşlar Tarihi ve Saatı Rezerve Ettirmeksizin Lars Sınır Kapısından Artık Geçiş Yapamazlar

რუსეთის მოქალაქეები ლარსის საზღვარს დროისა და თარიღის წინასწარი დაჯავშნის გარეშე ვეღარ გადმოკვეთენ

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

EBRD Tarafından Tahsis Edildiği Kredi İle 12 Metro İstasyonu Tamir Edilecek

EBRD-ის მიერ გამოყოფილი სესხით, 12 მეტროსადგურს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

Gürcistan'da Yumurta İthalatı Rekor Bir Seviyede

საქართველოში კვერცხის იმპორტი რეკორდულ მაჩვენებელზეა

Şahdeniz Gaz Sahasında Doğalgaz Tedariki Bu Sene Zirveye Ulaşacak

შაჰდენიზის გაზის მოპოვება წელს პიკს მიაღწევს

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6451 TRY/GEL – 0.1406 EUR/GEL – 2.8847 GBP/GEL – 3.2786

USD/GEL

20 -27 Ocak 2023



USD/TR

20 -27 Ocak 2023

TRY/GEL

20 -27 Ocak 2023

BTC – 22 949. 02

20 -27 Ocak 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING